



შოთა მალაშხია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია

27 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი შოთა მალაშხია. იგი შეხვდა სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს და წაიკითხა მოხსენება თემაზე: „კონფლიქტები და ხელისუფლების ხედვა პრობლემების გადაწყვეტაში“.

ბატონმა შოთა მალაშხიამ ისაუბრა ხელისუფლების ხედვაზე კონფლიქტების გადაჭრის საკითხებში. სტუმარმა, სსუ-ს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობაზეც გაამახვილა ყურადღება.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია, კულტურის სამინისტროსთან ერთად, გეგმავს ფილმის გადაღებას, რომელშიც საქართველოში არსებული კონფლიქტების ისტორია მთელი სიზუსტით იქნება გადმოცემული.